



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი
საინვესტიციო პროექტები




Contents

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	3
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი) ...	7
მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე.....	7
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით.....	9
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე.....	10
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)....	11
გამოქვეყნებული მემორანდუმები	12
გამოქვეყნებული პროექტები	13
საკადასტრო რუკები	14

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე





[რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის](http://gov.ge/files/275_38379_941560_137419.09.13%E2%80%9331.pdf)

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი (ჩრდ. ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი), საქართველოში კი მესტიის რაიონი; დასავლეთით – სამეგრელოს მუნიციპალიტეტები; სამხრეთით იმერეთის მუნიციპალიტეტები, მხარის მოსაზღვრეა ასევე ამჟამად სამაჩაბლოში (ე. წ. სამხრეთ ოსეთი) შემავალი ჯავის

მუნიციპალიტეტი. მხარის ტერიტორია 4601,3 კვ. კმ-ს მოიცავს, მისი მდებარეობა ზღვის დონიდან 400 მეტრსა და 5000 მეტრს შორის მერყეობს. აქ, ძირითადად, ქართველები სახლობენ, მათი საერთო რაოდენობა 49 000 კაცს აღწევს. განთქმულია აქაური სამკურნალო მინერალური წყლები და კურორტები – შოვი, უწერა, ლაშიჭალა, ქვეშვაკე, მუაში, სორტუანი, ბუგეული, ხიდიკარი, სადაც მათივე სახელობის 25-ზე მეტი სამკურნალო - მინერალური და გოგირდოვანი წყალი მოიპოვება. განსაკუთრებული ლანდშაფტით გამოირჩევა საკურორტო ადგილები – ხიდიკარი, წესიგორა, ურავი, ბარი, სხეფური, ქვედის ტბა და სხვა. ლეჩხუმს სამეგრელოსგან ყოფს ხვამლის მთა.

მხარეში უამრავი საინტერესო, უნიკალური ისტორიულ - ეთნოგრაფიული, არქეოლოგიურ - არქიტექტურული ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია ნიკორწმინდა, ბარაკონი, ხონჭიორი, მრავალძალი, პატარა ონი, ღები, კვირიკეწმინდა, ლაილაში, ჩაჟაშის კომპლექსი, მინდა - ციხე, კვარაცხე, ციხეთა კომპლექსი - “დახვდი”, “დაჰკარი” და “არ გაუშვა”, ონის საუკუნოვანი სინაგოგა, VII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის და თეოლოგის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი და მონასტერი ცაგერის მუნიციპალიტეტში და სხვა.

რეგიონი მდიდარია შიდა წყლებით. წყლის ძირითადი არტერიებია მდინარეები: რიონი და ცხენისწყალი თავიანთი მრავალრიცხოვანი შენაკადებით. რიონის შენაკადებია: კრიხულა, ლუხუნი, ხეორისწყალი, ღარულა, ჭანჭახი, ქვედრულა, ჯეჯორა და სხვა. ცხენისწყლის შენაკადებია; ზესხო, ლასკადურა, ხელედურა, ლეკთარეში, ლეუმერი). რეგიონში მდებარეობს ორი წყალსაცავი: შაორის და ლაჯანურის, რომელთა დანიშნულება წყლის დონის სეზონური რეგულირებაა.

უმთავრეს ბუნებრივ სიმდიდრეს ტყე წარმოადგენს, რომელსაც ტერიტორიის 46,6% უკავია. აქ თავმოყრილია მთელ კავკასიონზე გავრცელებული ყველა წიწვიანი სახეობის მცენარეები, როგორცაა ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, უთხოვარი და ღვია. გავრცელებულია ფლორისტულად მეტად მდიდარი ფართოფოთლოვანი ტყეები, სადაც წიფელთან ერთად გვხვდება ისეთი ძვირფასი სახეობის ხემცენარეები, როგორებიცაა მუხა, წაბლი, იფანი, ნეკერჩხალი, ცაცხვი, ბალამწარა, პანტა, მაჟალო და სხვა. წიფლნარები 1100მ-ს ზემოთ ქმნიან შერეულ კორომებს წიწვოვნებთან ერთად. სუბალპურ ზონაში გვხვდება ლიტვინოვის არყი, მაღალმთიანი ნეკერჩხალი და კავკასიური ცირცელი.

რეგიონის ტყეები I კატეგორიას მიეკუთვნება. აქვს წყალმარეგულირებელი, ეროზიის საწინააღმდეგო, ზვავშემაფერხებელი და რეკრეაციული მნიშვნელობა. ტყეებში გავრცელებულია საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები.

რეგიონში წარმოდგენილია დასავლეთ კავკასიონისათვის დამახასიათებელი მთელი სიმალლითი სპექტრი: მთისწინეთისა და ქვედა მთის ტყის მცენარეულობა; საშუალო მთის ტყის წიფლნარი, საშუალო მთის წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყე, ზედა მთის წიფლნარ-ნეკერჩხლიანი; მაღალი მთის სუბალპური მდელო და მაღალი მთის ალპური მდელო; სუბნივალური და ნივალური ზონა.

რეგიონში მისი ბუნების მრავალფეროვნებისა და უნიკალურობიდან გამომდინარე იგეგმება დაცული ტერიტორიების შექმნა. აქ მდებარეობს ბუნების 12 ძეგლი, 4 აღკვეთილი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ეროვნული პარკი და 1 დაცული ლანდშაფტი.

გავრცელებული მცენარეებიდან 164 კავკასიის ენდემია, 26 - საქართველოს ენდემი, ხოლო 5 - რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ფლორის ენდემს წარმოადგენს. საქართველოს "წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობებიდან რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გვხვდება უთხოვარი (*Taxus baccata*), წაბლი (*Castanea sativa*), იმერული მუხა (*Quercus imeretina*), უხრავე (*Ostrya carpinifolia*) და სხვა.

ნაკლებადაა შესწავლილი ფაუნა. გავრცელებულია მუძუმწოვართა 51 და ფრინველთა 152 სახეობა. აქ ბინადრობს არჩვი (*Rupicapra rupicapra*), მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) და სხვა. ორნითოფაუნიდან გავრცელებულია ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), ორბი (*Gyps fulvus*), მთის არწივი (*Aquila crysaetus*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlোকosiewiczzi*) და სხვა.

რაჭა ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ მოიპოვება ქვიშა-ხრეში (მარაგი-780 ათ. მ³), კირქვა (130 ათ.მ³), ქვანახშირი (300 ათ. ტონა), თაბაშირი 900 ათ. ტონა), ბარიტი (შეფასებული არ არის), მანგანუმი (1010 ათ. ტონა), მთის ბროლი და ოქრო ((შეფასებული არ არის).

რეგიონში ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნისაგან მზადდება უმაღლესი ხარისხის წითელი, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო „ხვანჭკარა“, რაც ქმნის ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივას.

წყარო: <http://rachalechkhumi.blogspot.com/p/blog-page.html>

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი) მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მგტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
1	ლუხუნი ჰესი 2	შპს რუსთავი ჯგუფი	23,000,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ლუხუნი	12.00	73.58	03.02. 2015	-	30.07. 2010	30.07. 2010	30.09 .2018	30.09 .2018
2	რაჩხა ჰესი	შპს ჯი ენ ელექტრიკ	13,612,290	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	რაჩხა	10.25	31.50	09.03. 2015	-	09.05. 2015	09.05. 2015	09.09 .2017	09.09 .2017
3	ჯონოული ჰესი 1	შპს ხვამლი	2,640,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ჯონოული	1.80	8.50	01.04. 2015	01.10. 2015	28.02. 2017	28.02. 2017	11.06 .2018	11.06 .2018
4	ლაჯანური ჰესი 1	შპს აკვაპიდროენერჯი	7,290,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ლაჯანური	5.20	27.30	17.08. 2015	17.08. 2016	17.12. 2017	17.12. 2017	17.12 .2020	17.12 .2020
5	ლაჯანური ჰესი 2	შპს აკვაპიდროენერჯი	9,310,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ლაჯანური	5.40	30.90	17.08. 2015	17.08. 2016	17.12. 2017	17.12. 2017	17.12 .2020	17.12 .2020
6	ლაჯანური ჰესი 3	შპს აკვაპიდროენერჯი	9,810,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ლაჯანური	5.40	33.30	17.08. 2015	17.08. 2016	17.12. 2017	17.12. 2017	17.12 .2020	17.12 .2020
7	ხეორი ჰესი	შპს ხეორიჰესი	1,393,140	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ხეორი	1.37	6.50	21.10. 2016	-	21.04. 2017	21.04. 2017	21.10 .2018	21.10 .2018
8	ხელედულა ჰესი 3	Anadolu Tasit Ticaret A.S.	97,125,862	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ხელედულა	50.77	254.93	29.05. 2015	29.11. 2016	15.12. 2017	15.12. 2017	15.12 .2021	15.12 .2021

9	მაჭიეთი ჰესი	შპს ენთელი	13,610,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	საკაურა	12.28	63.26	27.02. 2015	27.02. 2016	6.11.2 018	6.11.2 018	6.11. 2021	6.11. 2021
10	ღები ჰესი	შპს ენთელი	14,300,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	რიონი	14.34	70.95	27.02. 2015	27.02. 2016	6.11. 2018	6.11. 2018	6.11. 2021	6.11. 2021
11	ღერე ჰესი	შპს ენთელი	12,910,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ჭანჭახი, ბუმბული, ჩხოჭურა	9.41	41.30	27.02. 2015	27.02. 2016	6.11. 2018	6.11. 2018	6.11. 2021	6.11. 2021
12	ჭიორა ჰესი	შპს ენთელი	14,000,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ჩვეშურა	14.15	68.40	27.02. 2015	27.02. 2016	6.11. 2018	6.11. 2018	6.11. 2021	6.11. 2021
13	საკაურა ჰესი	შპს ენთელი	17,000,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	საკაურა	11.58	59.38	17.08. 2015	17.08. 2016	6.11. 2018	6.11.2 018	6.11. 2021	6.11. 2021
14	ლასკადურა ჰესი	შპს ლასკადა ენერჯი	10,200,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ლასკადურა	6.60	33.00	30.03. 2015	30.03. 2016	20.11. 2018	20.11. 2018	20.11 .2020	20.11 .2020

კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მგტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტსთ)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
15	ონის ჰესების კასკადი	სს ონი კასკადი	330,000,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	რიონი	177.20	789.00	16.07.2015	16.12.2016	16.12.2017	16.12.2017	16.12.2023	16.12.2023
16	ცხენისწყლის კასკადი	შპს არ-ბი-აი გრუპი	695,000,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ცხენისწყალი	357.10	1576.90	12.10.2015	12.10.2017	12.02.2019	12.02.2019	12.02.2024	12.02.2024
17	სორგითი 1 ჰესი	შპს რაჭაენერჯი	-	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ჯეჯორა	13.00	59.76	6.11.2017	6.05.2019	6.10.2019	6.10.2019	6.10.2021	6.10.2021
18	სორგითი 2 ჰესი	შპს რაჭაენერჯი	-	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ჯეჯორა	10.00	47.63	6.11.2017	6.05.2019	6.10.2019	6.10.2019	6.10.2021	6.10.2021

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ)	სავარაუდო წლიური გამოზიდვა (გვტსთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
19	ქვედი ჰესი	შპს მკ ენერჯი	1,329,875	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ქვედრულა	1.73	9.93	21.12.2015	21.12.2016	-	-	-	-
20	სადმელი ჰესი 2	შპს იბერჰესი	4,513,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	რიცეულა	4.00	22.50	09.02.2017	09.11.2017	-	-	-	-
21	ბოყვა ჰესი	შპს პ.კ. ინვესტი	3,117,000	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ხეურა	2.50	12.80	21.02.2017	21.02.2018	-	-	-	-

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)

დაგეგმილი პროექტები						
№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	საშუალო წლიური გამომუშავება (მლნ. კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	ალპანა ჰესი	რიონი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	60.00	255.00	წყალსაცავი
2	გორდი ჰესი	ცხენისწყალი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	11.10	35.70	მოდინებაზე
3	ლუხუნი ჰესი 1	ლუხუნი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	10.80	66.07	მოდინებაზე
4	ლუხუნი ჰესი 3	ლუხუნი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.50	46.03	მოდინებაზე
5	მახურა ჰესი	ცხენისწყალი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	28.50	114.50	მოდინებაზე
6	მტკვრის კასკადი 2	მტკვარი	შიდა ქართლი	74.20	345.80	მოდინებაზე
7	სადმელის კასკადი I, II	რიონი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	130.00	552.00	წყალსაცავი
8	სალიეთი ჰესი	ყვირილა	იმერეთი	3.60	18.20	მოდინებაზე
9	ღვედი ჰესი	ცხენისწყალი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2.80	11.20	მოდინებაზე
10	ჩემურა ჰესი	ჩაშური	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.50	32.40	მოდინებაზე
11	ცხენისწყალი ჰესი 1	ცხენისწყალი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	20.40	95.30	მოდინებაზე
12	ჭანჭახი ჰესი	რიონი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	20.00	89.60	მოდინებაზე
13	ხელედულა ჰესი 1	ხელედულა	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	18.80	94.30	მოდინებაზე
14	ხელედულა ჰესი 2	ხელედულა	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	20.10	95.30	მოდინებაზე
15	ხოფური ჰესი	ხოფური	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	7.90	31.50	მოდინებაზე
16	ჯონოული 2 ჰესი	ჯონოული	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32.00	129.20	მოდინებაზე

გამოქვეყნებული მემორანდუმები

[ლუხუნი ჰესი 2](#)

[რაჩხა ჰესი -](#)

[ჯონოული-1 ჰესი](#)

- [ხელშეკრულება მშენებლობის შესახებ](#)
- [ცვლილება 30.07.2016](#)
- [ცვლილება 31.10.2016](#)

[ლაჯანური ჰესი 1, 2, 3](#)

[ხეორის ჰიდროელექტროსადგური](#)

- [ცვლილება 05.08.2016](#)

[ხელედულა-3 ჰესი](#)

- [შეთანხმება 15.12.2016](#)

[მეჟიეთი ჰესი](#)

[ღები ჰესი](#)

[ღერე ჰესი](#)

[ჭიორა ჰესი](#)

[საკაურა ჰესი](#)

[ონის ჰესების კასკადი](#)

[ცხენისწყლის კასკადი](#)

[ქვედი ჰესი](#)

[ბოყვა ჰესი](#)

გამოქვეყნებული პროექტები


[აღპანა და სადმელი ჰესები](#)

[ცვლილება 01.09.2016](#)


მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

საკადასტრო რუკები


- V.1 ამბროლაურის რაიონი
- V.1 Ambrolauri district
- V.1 Амбролаурский район




- V.3 ონის რაიონი
- V.3 Oni district
- V.3 Онский район



- V.2 ცაგერის რაიონი
- V.2 Tsageri district
- V.2 Цагерский район



- V.4 ლენტეხის რაიონი
- V.4 Lentekhi district
- V.4 Лентехский район



მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდა: მარია ფიროსმანაშვილი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge